სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №58

ქ. რუსთავი **21 მარტი 2019 წელი**

ერთი მხრივ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის გეგი ლიპარტელიანის სახით და მეორე მხრივ, შპს. „ვინდლაიფ“ (შემდგომში “მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის შორენა წურქავას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ (გამარტივებული შესყიდვა) ქვეპუნქტის თანახმად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“. „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1.6 „მხარე“ - „შემსყიდველი“ ან/და „მიმწოდებელი“.

1.7 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1 დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებისთვის საჭირო ნივთების კერძოდ: საკანცელარიო ნივთების შესყიდვა **(CPV30100000) –** 52.00 ლარი; ტანსაცმელის (წინდების) შესყიდვა - 150.00 ლარი **(CPV18300000);** საჰაერო ბუშტების შესყიდვა - 192.00 **(CPV37500000);** ქსოვილის ნივთების შესყიდვა - 20.00 **(CPV39500000).**

2.2 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების აღწერა მოცემულია ხელშეკრულებაზე თანდართულ დანართ №1-ში.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **414.00** (ოთხასთოთხმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს დღგ-ს გათვალისწინებით.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურისა წარმოდგენის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღე.

4.4 დაფინანსების წყარო: 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5.მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.

5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს **ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“**-ს დირექტორი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან **შპს. „ვინდლაიფ“**-ის დირექტორი.

5.4 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

- „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების დასახელება.
- „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება.
- „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

6. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 საქონლის მიწოდების ვადა: 2019 წლის 21 მარტი.

6.2 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. რუსთავი, მ. კოსტავას გამზ. №20.

7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) საქონლის სრულ და ჯეროვნად მიწოდებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

გ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლული საქონელი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებულ ვადაში.

8.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“ (წარმოდგენილი მისი მონიტორინგის განყოფილების უფროსის სახით).

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

9.1 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0.02%**-ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **2%**-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“ მის: ქ. რუსთავი, მ. კოსტავას გამზირი №20 საიდენტიფიკაციო კოდი №416314090 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 მიმღების ანგარიში: GE24NB0330100200165022	**შპს „ვინდლაიფ“** მის: ქ. რუსთავი, მ. კოსტავას გამზირი №14/2 საიდენტიფიკაციო კოდი №216447281 სს „თიბისი ბანკი“ ბ/კ №TBCBGE22 ა/ა №GE63TB7578036020100004
ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“-ს დირექტორი	**შპს „ვინდლაიფ“–ის დირექტორი**
გეგი ლიპარტელიანი	*შორენა წურქავა*

culture youth and sport development center of rustavi municipality

Digitally signed by culture youth and sport development center of rustavi municipality
Date: 2019.03.21 19:38:44 +04'00'

დანართი №1

№	CPV -კოდები	საქონლის დასახელება	ზომის ერთ.	რ-ბა	საქონლის ერთ. ღირებულება (ლარი)	საქონლის საერთო ღირებულება (ლარი)
1	CPV- 37525000	ჰელიუმის ბუშტი	ცალი	78	1.50	**117.00**
2	CPV- 37525000	ჰელიუმის ბუშტი	ცალი	30	2.50	**75.00**
3	CPV-39541110	თოკი	ცალი	4	5.00	**20.00**
4	CPV-18317000	წინდა	ცალი	30	5.00	**150.00**
5	CPV-30197130	ხის სარჭი	შეკვრა	4	5.00	**20.00**
6	CPV-30194000	ცარცი	შეკვრა	10	1.50	**15.00**
7	CPV-30194320	ფორმატი ა1	ცალი	20	0.85	**17.00**
					სულ ჯამი:	**414.00 ლარი**

შპს „ვინდლაიფ"–ის დირექტორი: *შორენა წურქავა*

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. რუსთავი **21 მარტი 2019 წელი**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის **ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“**-ს მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით **შპს „ვინდლაიფ“**-ისგან დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებისთვის საჭირო ნივთების შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“-ს **დირექტორი:** culture youth and sport development center of rustavi municipality Digitally signed by culture youth and sport development center of rustavi municipality Date: 2019.03.21 19:39:46 +04'00' გეგი ლიპარტელიანი

ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“-ს მონიტორინგის განყოფილების უფროსი გიორგი კილაძე